



13.06.2014

## დიდი ალბათობით კულტურის სამინისტრო საყდრისის საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს

შეუერთდი განხილვას

კულტურის სამინისტრო საყდრისის საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი ალბათობით გაასაჩივრებს - ამის შესახებ ჟურნალისტებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა თემურ ჩიხლაძემ განუცხადა.

ჩიხლაძის განმარტებით, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაჭრის გარეშე მიიღო, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა და გაუქმდა რამდენიმე სამართლებრივი აქტი. გასაჩივრებასთან დაკავშირებით კი სამინისტროს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და სასამართლოს დადგენილების ჩაბარების შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ საკითხზე მსჯელობა - გაასაჩივრებს სამინისტრო სასამართლოს გადაწყვეტილებას თუ დაემორჩილება მას.

თემურ ჩიხლაძემ ასევე განაცხადა, რომ ამ დროისთვის სამინისტრო ვერ იმსჯელებს, თუ რაზე დაყრდნობით მიიღო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება.

"2013 წლის 5 ივნისის ბრძანება, რომელმაც ბათილად ცნო კანონდარღვევით საყდრისისთვის მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, დღეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი. სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას დიდი ალბათობით გაასაჩივრებს", - განაცხადა თემურ ჩიხლაძემ.

თუმცა მისივე განმარტებით, სამინისტრო გასაჩივრების საკითხზე მხოლოდ მას შემდეგ იმსჯელებს, რაც უწყებას სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდება.

შეგახსენებთ, საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის გაუქმების შესახებ. მინისტრის შესაბამის ბრძანებას სასამართლოში "მწვანე ალტერნატივა" ასაჩივრებდა.

"სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი, ბათილად ცნო მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება და განსახილველად უკან დაუბრუნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სარჩელი გულისხმობდა იმ ბრძანების გაუქმებას, რომლითაც ძეგლს სტატუსი მოეხსნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტრომ სათანადოდ არ გამოიკვლია საკითხი ამ აქტის გამოცემისას. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რამდენად ჰქონდა ამ ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება, უნდა მიეღო შესაბამის საბჭოს, როგორც ამას კანონი ითხოვდა და რადგან ეს არ მომხდარა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამინისტრომ არასათანადოდ გამოიკვლია საკითხი და ისე მიიღო გადაწყვეტილება. ჯერჯერობით ვადები და სხვა დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ სამინისტრომ კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე", - ამბობს ნინო გუჯარაიძე, "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli  
(Change)

Comment

Facebook social plugin

